

  <p>საზოგადოებრივი მოსახლეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური</p>	<p>ROADS DEPARTMENT OF THE MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA</p>
 <p>IRD ENGINEERING</p>	<p>IRD Engineering S.r.l. info@irdeng.com</p>
 <p>中国水电 SINOHYDRO</p>	<p>Sinohydro Corporation Limited branch in Georgia</p>

აღმოსავლეთ-დასავლეთ E-60 მაგისტრალის
ზემოოსიაური- ჩუმათელეთის გზის
მონაკვეთის მოდერნიზების პროექტის
ფარგლებში სანაყაროს მოწყობის სკრინინგის
ანგარიში

2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი	3
2 პროექტის მოკლე აღწერა	4
2.1 საპროექტო ტერიტორიის ზოგადი აღწერა.....	4
2.2 საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი ნიადაგის სიმძლავრე.....	8
2.3 საქმიანობის მამტაბი.....	10
2.4 ბიოლოგიური გარემო.....	12
3 საქმიანობით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების აღწერა	13
3.1 მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება.....	13
3.2 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე.....	14
3.3 ზემოქმედება წყლის გარემოზე.....	15
3.4 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე.....	15
3.5 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	16
3.6 ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება.....	16
3.7 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.....	17
4 გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შედარებითი ანალიზი	17
5 დასკვნითი ნაწილი	20
დანართი 1 - საჯარო რეესტრის ამონაწერი.....	21
დანართი 2- მიწის მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება.....	23
დანართი 3 - მოსახლეობასთან გაფორმებული შეთანხმება.....	34
დანართი 4 – სანაყაროს მოწყობის დეტალური პროექტი.....	37

1. შესავალი

საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი ავტომაგისტრალების გაუმჯობესების პროგრამას ახორციელებს, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხელმძღვანელობს. პროგრამა მიზნად ისახავს მეზობელ ქვეყნებში ტვირთების გადაზიდვის გაუმჯობესებას, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან და მზარდ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოში და საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვის მაჩვენებელი უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში გაიზარდა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გაფართოებული ბაზრების შედეგია. საქართველომ მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ქვეყანის სტატუსი შეიძინა. ტვირთების თითქმის ორი-მესამედის გადაზიდვა ხდება გზით და ქვეყნის ავტომაგისტრალზე ეს ადვილად შესამჩნევია. თუმცა, გზების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის შესაბამისად აღჭურვილი, რათა გაუძლოს მოძრაობის ინტენსიურობასა და მძიმე ტექნიკის რაოდენობას; ისეთი ფაქტორები, როგორცაა შუალედური ზოლით გაყოფილი ორმხრივი მოძრაობის მქონე მაგისტრალების არასაკმარისი რაოდენობა, დასახლებულ პუნქტებზე გავლა და ზოგ შემთხვევაში არასათანადო ტექნიკური მდგომარეობა აფერხებს გამტარუნარიანობას და ზრდის სატრანსპორტო დროს. ეს სირთულეებს უქმნის გადამზიდავ კომპანიებსა და მათ კლიენტებს, სატვირთო ავტომანქანების მძღოლებს, ქართველ ავტომობილისტებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს.

საერთაშორისო მნიშვნელობის, E-60 ავტომაგისტრალის, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის (F0) გზის მონაკვეთის (126კმ- 143კმ) მოდერნიზების პროექტს, 2020 წელს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს „Sinohydro Corporation Limited“ (შემდეგში - კონტრაქტორი). მაგისტრალის სირძის F0-ის მონაკვეთი კვეთს ხაშურის მუნიციპალიტეტს. საპროექტო გზა იწყება ხაშურის მუნიციპალიტეტში და სრულდება სოფელ ჩუმათელეთთან, სადაც უერთდება ავტომაგისტრალის მომდევნო ჩუმათელეთი-ხევის F1-ის მონაკვეთს. აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული რთული რელიეფის პირობებში, ავტომაგისტრალის გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით, F0 მონაკვეთის მოდერნიზაცია მოიცავს ახალი გვირაბების, ხიდების და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას.

პროექტის მიხედვით ახალი გვირაბების მშენებლობა რის გამოც მშენებელმა კონტრაქტორმა მოიძია ტერიტორია გამოუსადეგარი გრუნტის დასაწყობებისთვის, რომელიც ასევე შეთანხმებულია სსიპ - ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ხელშეკრულების საფუძველზე.

ცხრილი 1.1. ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოძისი (ს კ.69.04.52.820)
საქმიანობის სახე	აღმოსავლეთ-დასავლეთ E-60 მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის მოდერნიზების პროექტის ფარგლებში სანაყაროს მოწყობა
საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის საკონტაქტო მონაცემები:	
ელექტრონული ფოსტა	zkhvedelidze@gmail.com
საკონტაქტო პირი	ზეზვა ხვედელიძე
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 577 22 00 20
საკონსულტაციო კომპანია:	შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“

2 პროექტის მოკლე აღწერა

2.1 საპროექტო ტერიტორიის ზოგადი აღწერა

E-60 ავტომაგისტრალის, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის (126კმ-143კმ) მოდერნიზების პროექტი ითვალისწინებს ზემო ოსიაურისა და ჩუმათელეთის ახალი მონაკვეთით დაკავშირებას, რომელიც განთავსდება ხაშურის გვერდის ავლით. პროექტის მიხედვით, აღნიშნულ მონაკვეთზე გათვალისწინებულია 7 ხიდის და გზის ბოლო 3 კმ-ის ფარგლებში, 3 გვირაბის მშენებლობა.

როგორც გზის ვაკისების მოწყობის, ისე გვირაბების მშენებლობის ეტაპზე, ადგილი აქვს ნამეტი გრუნტისა და გამონამუშევარი ქანების დაგროვებას, რომლის სრულად გამოყენება ვერ მოხდება მშენებლობის მიზნებისთვის და მათ საბოლოოდ განსათავსებლად, საჭიროა სანაყაროს მოწყობა.

სანაყაროს მოსაწყობად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ოძისის ტერიტორიაზე, შერჩეული იქნა შპს “საქსპეცტრანსი”-ს სახელზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო კოდია N69.04.52.820. აღნიშნული ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 78773 კვ.მ-ს, აქედან, სანაყაროს განთავსებისთვის გამოყენებული იქნება 50471 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის GPS კოორდინატები მოცემულია 2.1.1. ცხრილში, ხოლო GIS კოორდინატების Shp ფაილები, წარმოდგენილია დანართის სახით.

ტერიტორიაზე გრუნტისა და ფუჭი ქანების განთავსებასთან დაკავშირებით, მიწის მესაკუთრეს შპს “საქსპეცტრანსი”-თან და მშენებელ კონტრაქტორს შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც დადგენილი წესით დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (იხ. დანართი 1 და დანართი 2). გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნა სანაყაროს მიმდებარედ არსებული დასახლებული პუნქტების მაცხოვრებლების ინფორმირება. მშენებელ კონტრაქტორსა და მოსახლეობას შორის, ასევე გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს სოციალური პროექტების განხორციელებას (იხ. დანართი 3).

ცხრილი 2.1.1. სანაყაროს განთავსების GPS კოორდინატები

N	X	Y
1	380601,48	4655836,12
2	380727,88	4655855,43
3	380727,88	4655684,70
4	380879,11	4655684,70
5	380586,19	4655596,67
6	380873,68	4655544,78

გამოუსადეგარი გრუნტის დასაწყობებისთვის შერჩეული ტერიტორიის აღმოსავლეთით, უახლოესი დასახლებაა ცოცხნარის თემის ე. წ. ლაშხების უბანი. სანაყაროსა და აღნიშნულ დასახლებულ უბანში არსებულ უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის მანძილი დაახლოებით 160 მეტრია, გარდა ამისა, ტერიტორიიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 190 მ-ში განთავსებულია კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი.

რაც შეეხება შედარებით მჭიდროდ დაახლებულ ტერიტორიებს, საპროექტო ტერიტორიიდან:

- ჩრდილოეთით, 600 მ-ზე მეტ მანძილში მდებარეობს სოფ. ოძისი;
- ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1200 მ-ზე მეტ მანძილში მდებარეობს სოფ. ცოცხნარი;
- სამხრეთით 1270 მ-ზე მეტ და დასავლეთით 690 მ-ზე მეტ მანძილში მდებარეობს დაბა სურამი;

შესათანხმებული ტერიტორიიდან, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. ცოცხნარისწყალი, გაედინება დაახლოებით 890 მ-ზე მეტ მანძილში.

E-60 ავტომაგისტრალის, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის სამშენებლო უბნიდან, შერჩეული ფუჭი ქანები მოწყობილია დაახლოებით 800 მ სიგრძის გრუნტის გზა (იხ. სურათი 2.1.1.), რომელიც გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის.

სურათი 2.2.1. სანაყარომდე მისასვლელი არსებული გზა



საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდებარეობს ხელოვნურად გაშენებული წიწვნარის კორომი, რომელსაც კვეთს სანაყარომდე მისასვლელი არსებული გზა. სანაყაროს ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქოვანი მცენარეები და მცირე-ზომის ხე-მცენარეები, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 8 სმ-ს. ნაკვეთი დაფარულია ბალახის საფარით. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფირი ფენის სიმძლავრე 8-10 სმ-ის ფარგლებშია.


გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებლად შერჩეული ტერიტორია სწორი რელიეფის მქონე ტერიტორიაა და თანამედროვე გეოლოგიური პროცესები პრაქტიკულად არ ფიქსირდება. საპროექტო ტერიტორიაზე ადგილი აქვს მხოლოდ უმნიშვნელო ფართობულ ეროზიას. შესაბამისად, სანაყაროს მოსაწყობად წინასწარ შერჩეული ტერიტორია მდგრადია და არც მომავალშია მოსალოდნელი რაიმე სახის გეოლოგიური გართულებები.

ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მშენებარე გზის მონაკვეთის, ამავე მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში წარმოქმნილი გრუნტისა და ფუჭი ქანების დასაწყობებისთვის შერჩეული სანაყაროს განთავსების ტერიტორიის და აღნიშნულ ტერიტორიამდე მისასვლელი არსებული გზის ურთიერთგანლაგების სიტუაციური რუკა მოცემულია 2.1.1. ნახაზზე, ხოლო სანაყაროს ტერიტორიისა და გარშემო არსებული დასახლებული პუნქტების ურთიერთგანლაგების სიტუაციური რუკა იხილეთ 2.1.2. ნახაზზე.

ნახაზი 2.1.1. ზემო ოსიური-ჩუმათელეთის გზის საპროექტო მონაკვეთის, შერჩეული გამოუსადეგარი გრუნტის განთავსების ტერიტორიის დააღნიშნულ ტერიტორიაზე მისასვლელი არსებული გზის ურთიერთგანლაგების სიტუაციური რუკა.



ნახაზი 2.1.2. გამოუსადეგარი გრუნტის ტერიტორიისა და გარშემო არსებული დასახლებული პუნქტების ურთიერთგანლაგების



სიტუაციური რუკა

2.2 საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი ნიადაგის სიმძლავრე

გამოუსადეგარი გრუნტის განთავსებისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე, შესწავლილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე. ამისათვის, შერჩეული იქნა 14 ლოკაცია და თითოეულ წერტილში გაიზომა ნიადაგის სიმაღლე (იხ. სურათი 2.2.1).

სურათი 2.2.1. საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის სიმძლავრის გაზომვა





ნიადაგის სიმძლავრის დადგენის მიზნით, შერჩეული წერტილების GPS კოორდინატები წარმოდგენილია 2.2.1. ცხრილში, ხოლო აღნიშნული წერტილების ტერიტორიაზე განლაგების სიტუაციური რუკა იხილეთ 2.2.1. ნახაზზე.

ცხრილი 2.2.1 ნიადაგის სიმძლავრის დადგენის მიზნით შერჩეული წერტილების GPS კოორდინატები

N	X	Y
1	380736	4655588
2	380677	4655602
3	380599	4655615
4	380639	4655628
5	380596	4655680
6	380608	4655722
7	380609	4655794
8	380710	4655775
9	380706	4655712
10	380668	4655670
11	380740	4655642
12	380779	4655675
13	380852	4655666
14	380835	4655562

ნახაზი 2.2.1. ნიადაგის შესწავლის ლოკაციები



ნიადაგის მოხსნა და დასაწყობება განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

ტერიტორიაზე ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში, სპეც. ტექნიკის გამოყენებით.

ნაყოფიერი ფენის დროებით დასაწყობება მოხდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, სადაც დაცული იქნება გადარეცხვისაგან, სხვა ქანებთან შერევის და დაბინძურებისაგან, შენარჩუნდება ნიადაგის სტრუქტურა და მისი ნაყოფიერება.

აერაციის ხელშეწყობის მიზნით ნიადაგის დასაწყობება მოხდება გროვებად (რელიეფის გათვალისწინებით) ან ტერასად, თითოეულ ტერასაზე მოეწყობა 2-3 მეტრის სიმაღლის საფეხურები.

მოსახსნელი ნიადაგის მოცულობა, დამოკიდებულია ტერიტორიის ფართობზე და ნაყოფიერი ფენის სიმძლავრეზე. იმის გათვალისწინებით, რომ სანაყაროს მთლიანი ფართობი შეადგენს 50471 კვ. მ-ს, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე მერყეობს 8-10 სმ-ის ფარგლებში, მოსახსნელი ნიადაგის მაქსიმალური (თეორიული) რაოდენობა იქნება:

$$50471 \text{ კვ. მ} \times 0,10 \text{ მ} = 5047,1 \text{ კუბ. მ}$$

აქვე, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული რაოდენობა არის მაქსიმალური, თეორიულად დასაშვები რაოდენობა, თუმცა, იმის გამო, რომ ტერიტორიის ნაწილზე, ნიადაგის სიმძლავრე არ აღემატება 0.08 მ-ს, პრაქტიკულად, შესაძლებელია უფრო ნაკლები ნიადაგის მოხსნა განხორციელდეს.

2.3 საქმიანობის მაშტაბი

როგორც უკვე აღინიშნა, პროექტი ითვალისწინებს E60 ავტომაგისტრალის, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში, წარმოქმნილი გრუნტის და ფუჭი ქანების დასაწყობებისთვის, სანაყაროს მოწყობას.

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილის მოწყობა გათვალისწინებულია კერძო საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რაზედაც არსებობს შესაბამისი ხელშეკრულება. შერჩეული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 50471 კვ.მ და მასზე შესაძლებელია დაახლოებით 500000 კუბ. მ გრუნტის და ფუჭი ქანის განთავსება.


გამოუსადეგარი გრუნტის განთავსების ადგილის მოწყობა, გრუნტის და ფუჭი ქანების განთავსებამდე, ითვალისწინებს ტერიტორიის მომზადებას, რაც გულისხმობს საპროექტო ფართობის ბუჩქებისგან და ხე-მცენარეებისგან გათავისუფლებას, ასევე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და უსაფრთხოდ განთავსებას.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოხდება ექსკავატორით და დაიტვირთება თვითმცლელზე, რომელიც მას გადაიტანს, მისთვის განკუთვნილ უბანზე. ნაყოფიერი ნიადაგის თვისებების შენარჩუნებისთვის, შეირჩევა სათანადო ტექნიკა და მუშაობის პრაქტიკა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ნაყოფიერი ნიადაგის შენახვას. ნაყოფიერი ნიადაგის ხარისხი/მახასიათებლები და რევეგეტაციის თვალსაზრისით ღირებულება დამოკიდებულია ნიადაგის მოხსნის და შენახვის პირობებზე. მაგალითად, დასაწყობებულ ნიადაგში აუარესებს მის ხარისხს და ნიადაგის სტრუქტურას, თუ მისი მოხსნა მოხდა გაჯერებულ მდგომარეობაში, ან თუ ნიადაგი დატკეპნილია.

მშრალ მდგომარეობაში მოხსნილი და დასაწყობებული ნაყოფიერი ფენის ნაყარის სიმაღლე ჩვეულებრივ 2-3 მ აღწევს. განთავსებისთვის განკუთვნილი ფართობის სიმცირის შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს დატერასებაც.

ტერიტორიის მომზადების შემდეგ, გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებლად განკუთვნილ ფართობზე, მოხდება გზის მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნამეტი გრუნტისა და ფუჭი ქანების შემოტანა, რომელიც განთავსდება „გორაკებად“, ტერიტორიის ბოლო წერტილიდან მისასვლელისკენ.



მთელი ტერიტორიის შევსების შემდეგ, მუხლუხიანი ტექნიკის (ბულდოზერიან ექსკავატორი) გამოყენებით მოხდება ზვინულების პროფილირება, რაც ქმნის საფუძველს მეორე ფენის დასაყრელად.

იგივე გრძელდება ნაყარის დაგეგმილი სიმაღლის მიღწევამდე. ნაყარზე ატმოსფერული წყლის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით, მუხლუხიანი ტექნიკის საშუალებით ხდება ნაყარის დატკეპნა და ზედაპირის და ფერდების პროფილირება, თანაბარი დახრილობის მისაღებად.

განსათავსებელი ფუჭი ქანები შედგება კირქვის, მერგელისა და თიხის მინარევებისაგან, ხოლო სანაყარედ გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება წარმოდგენილია თაბაშირიანი და კარბონატული თიხებით იაროზიტის ნაფიფქებით და თიხიანი ქვიშაქვებით.

აღნიშნული ქანების ფიზიკო-მექანიკური თვისებების და დახრილი რელიეფის გათვალისწინებით, სანაყარეზე ფუჭი ქანი განთავსდება რელიეფზე მორგებულად რამოდენიმე იარუსად (საფეხურად). ყრილის ჯამური სიმძლავრე ისე უნდა შეირჩეს, რომ ტერიტორიის ნებისმიერ ადგილას არ აღემატებოდეს 15-16 მ-ს. რელიეფის დახრილ ზედაპირზე ნაყარი მდგრადობის შენარჩუნების მიზნით თითოეული იარუსის სიმაღლე აღებულია 6 მეტრი.


პირველ ეტაპზე ტერიტორიის ფუჭი ქანით შევსება მოხდება დასავლეთი ფრთის ცენტრალური ნაწილის ჩაღრმავებულ ადგილში, რის შემდეგაც თვითმცლელებით შემოტანილი ფუჭი ქანი დაიყრება მთელ ტერიტორიაზე 6 მეტრიან საფეხურებად, გაიშლება და მოსწორდება ბულდოზერის საშუალებით. პერიოდულად, ყოველ ერთ მეტრზე დაყრის შემდეგ, მოხდება მისი დატკეპნა. თითოეული საფეხურის ფერდოს მიეცემა დახრა, რომელიც რელიეფის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს 35-40-ს. საფეხურებს შორის დატოვებული უნდა იქნას მინიმუმ 5 მეტრი სიგანის ბეგი. ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე, ზოგიერთ საფეხურს შორის ბეგის სიგანე იზრდება და ახწევს 50-60 მეტრს.

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილის გაწყლოვანებისგან მაქსიმალურად დასაცავად ზედაპირი მოსწორდება, დაიტკეპნება და მიეცემა მცირე დახრა სამხრეთ და აღმოსავლეთი მიმართულებით. ასევე, სანაყაროს დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, გაყვანილი იქნება სანიაღვრე

წყალსაწრეტი თხრილი, რომელიც უზრუნველყოფს ატმოსფერული ნალექებისგან წარმოქმნილი წყლის გადინებას სანაყარე მეურნეობის ფარგლებს გარეთ, რათა არ მოხდეს ნაყარი მასის წყალგაჯერება.

პროექტირების პროცესში მოხდა დასაყრელი ფუჭი ქანის სავარაუდო მოცულობის განსაზღვრა, რისთვისაც ტოპოგრაფიულ გეგმაზე აიგო პარალელური ჭრილები და გამოითვალა ფუჭი ქანის რაოდენობა რომელიც შესაძლებელია განთავსდეს გამოყოფილ ფართზე.

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილის ფორმირების ტიპური ჭრილი მოცემულია ქვემოთ. ხოლო თითოეული საფეხურის ფორმირების ჭრილები, ასევე, ფუჭი ქანის რაოდენობის ანგარიში, რომელიც შესაძლებელია განთავსდეს გამოყოფილ ფართზე, მოცემულია გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილის მოწყობის დეტალურ პროექტში (იხ. დანართი 4). ამავე პროექტში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური შეფასება და ტერიტორიის



გეოლოგიური რუკა.

2.4 ბიოლოგიური გარემო

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, მცენარეულობა სახეცვლილია. ახლად დამკვიდრებული მცენარეულობის უმეტესობა მეორადია. ხეების ადგილი ბუჩქნარებმა დაიკავეს, როგორცაა *Paliurus spina christi*, *Spiraea hypericifolia*, *Carpinus orientalis*. პოლიდომინანტურ ბუჩქნარებიდან საკვლევ ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული: *Rhamnus pallasii*; *Spiraea hypericifolia*; *Cotinus coggygria*; *Juniper species - Juniperus oblonga*, *J. oxycedrus*, *J. polycarpus*, *J. foetidissima*; *Rosa canina*; *Crataegus kyrtostyla*; *Lonicera caucasica*; *Prunus spinosa*; *Rhus coriaria*; *Cotoneaster racemiflora*. დომინანტი ჰაბიტატი წარმოდგენილია უნაყოფო, ძლიერეროდირებული ნიადაგებითა და ქსეროფიტული ბუჩქნარებით (*Astragalus* and *Acanthalimon*) დაფარული მშრალი, კლდოვანი ფერდობებით.

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილისთვის შერჩეული ტერიტორიის მიმდებარედ ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს, საძოვრებს, მეჩხერი ქვეტყით დაფარულ უბნებს და ხელოვნულ ფიჭვნარს. ფლორისტული და ფიტოსიალური თვალსაზრისით ტერიტორია შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მცენარეულობა;
- დაბალი წარმადობის ჯაგრცხილნარი, მეორეული ბუჩქნარები და ხელოვნური ფიჭვნარი;
- ინდივიდუალური ხეები და ბუჩქები.

ბუნებრივი ტყე, პროექტის ზემოქმედების ზონაში არ ხვდება.

ტერიტორიაზე არსებული ხელოვნური ნარგავები და ბუჩქნარი სახემეცვლილი ჰაბიტატია, სადაც მცენარეულობა ძლიერ მოდიფიცირებულია, რაც განპირობებულია იმით, რომ ტერიტორია ძალზე ანთროპოგენიზებულია და მცენარეულ სახეობათა დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ხშირია შემოდობილი ტერიტორიები, სადაც გაშენებულია კურკოვან მცენარეთა მსხმოიარე ხეები (ქლიავი, ჭანჭური). მიწის ფართობების უმეტესობა კი აუთვისებელია და დაფარულია სარეველა მცენარეებით, განსაკუთრებით სხვადასხვა სახეობის ნარით *Cirsium sp.*

საკვლევი ტერიტორიის მცირე ნაწილზე, მომცრო ფრაგმენტების სახით განვითარებულია დაბალი სიხშირის და არასრული მოცულობის ბუჩქოვანი ტიპის დაჯგუფებები - ჯაგეკლიანი ფორმაციების სახით, როგორცაა - კვრინჩხი *Prunus spinosa*, შავჯაგა *Rhamnus pallasii*, გრაკლა *Spiraea hypericifolia*, თრიმლი *Cotinus coggygria*, ასკილი *Rosa canina*, კუნელი *Crataegus kyrtostyla*.

საპროექტო არეალში, ძუძუმწოვრები წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: მელა (*Vulpes vulpes*), ტურა (*Canis aureus*), მაჩვი (*Meles meles*), სინდიოფალა (*Mustela nivalis*), გარეული კატა (*Felis silvestris*), ევროპული კურდღელი (*Lepus europaeus*) და სხვა წვრილ ძუძუმწოვართა პოპულაციები: ვირთხები (*Apodemus agrarius*), კავკასიური ტყის თაგვი (*Sylvaemus fulvipectus*), მცირე ტყის თაგვი (*Apodemus uralensis*), მემინდვრია (*Terricola major*), თხუნელა (*Talpa caucasica*).

ტერიტორიაზე ჭარბობს შემდეგი ფრინველები: ბოლოქანქარა (*Motacillaalba*), შაშვი (*Turdusmerula*), თეთრყელიანი კოლიბრი (*Sylviacomunis*), კაჭკაჭი (*Picapica*) და ყვავი (*Corvuscorone*), ლაქო (*Laniuscollurio*), გრატა (*Emberizamelanocephala*), ყანის ჩიტი (*Miliaricalandra*), მწყერი (*Coturnix coturnix*); ასევე ბელურები (*Passerdomesticus*), ჩიტბატონა (*Cardueliscarduelis* და *Carduelischloris*).

აღნიშნული ფრინველები პერმანენტულად არიან წარმოდგენილი პროექტის ტერიტორიაზე. ისინი ამ ტერიტორიაზე არ ბინადრობენ/ბუდობენ და ჩნდებიან ტერიტორიაზე ნადირობის დროს.

3 საქმიანობით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების აღწერა

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოკუმენტში განხილულია შემდეგი სახის მოსალოდნელი ზემოქმედების რისკები:

- მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება;
- ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე;
- ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე;
- ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელების რისკი
- შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.

3.1 მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება

ამჟამად, საკვლევი ტერიტორიის ჰაერის ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მ ზონაში, საწარმოო დანიშნულების ობიექტები არ არის წარმოდგენილი. საკვლევი ტერიტორიის და მიმდებარე დასახლებული პუნქტების ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ მთავარ წყაროს, წარმოადგენს ტერიტორიიდან დაახლოებით 800 მ-ის მოშორებით მიმდინარე მშენებლობა (გზის მშენებლობა) და სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტრანსპორტი.

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილის პროექტის ფარგლებში, მიწის სამუშაოების წარმოება, ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიური გამოყენება, გავლენას მოახდენს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ადგილი ექნება ატმოსფერულ

ჰაერში მტვრის და წვის პროდუქტების გავრცელებას.

გამოუსადეგარი გრუნტის განთავსების ტერიტორიასა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის პირდაპირი მანძილი შეადგენს დაახლოებით 160 მეტრს და სანაყაროს მოწყობა ფორმირების ეტაპზე საჭირო იქნება შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მაგ: მიწის სამუშაოების და ნაყარი ტვირთების მართვის პროცესში სიფრთხილის ზომების მიღება; ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; ტრანსპორტირების სიჩქარეების მინიმუმამდე შემცირება, სანაყარომდე მისასვლელი გზის დანამკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანაყაროს ტერიტორიის მომზადების და შემდეგ, სანაყაროზე გრუნტის და ფუჭი ქანების განთავსების პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს დაახლოებით 18 თვის განმავლობაში, შესაბამისად, ზემოქმედება იქნება დროებითი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელებით.

რაც შეეხება ხმაურს, საკვლევ ტერიტორიაზე, მისი არაუბრუნული ხასიათიდან გამომდინარე, ხმაურის მნიშვნელოვანი წყაროები არ არის განთავსებული, თუ არ ჩავთვლით ტრანსპორტით და, ხანდახან, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუშაობით გამოწვეულ ხმაურს. როგორც ჰაერის დაბინძურების შემთხვევაში, საკვლევ ტერიტორიის ხმაურის ძირითად წყაროსაც ავტომაგისტრალის მიმდინარე მშენებლობა და მაგისტრალზე მოძრავი ტრანსპორტი წარმოადგენს.

ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, რაც გამორიცხვას ღამის საათებში, სანაყაროზე გრუნტისა და გამონამუშევარი ფუჭი ქანების შეტანა-დასაწყობების ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურით, სანაყაროს მიმდებარედ, დასახლებული უბნის მოსახლეობის შეწყუბების ფაქტორს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სანაყაროს მოწყობა-ფორმირების ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების მხრივ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ნეგატიური ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი და შექცევადი.

3.2 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

საკვლევ უბანი (სანაყარო) მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთით, რომელიც წარმოადგენს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ბუნებრივ საზღვარს. სანაყარო განთავსდება ზღვის დონიდან 790 მეტრზე.

საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში, გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ ნალექები მესამეული ასაკით დაწყებული მეოთხეულის (Q) ჩათვლით. საკვლევ და მიმდებარე ტერიტორია აგებულია ოლიგოცენი-ქვედა მიოცენი, მაიკოპის წყების (Pg3+N1mk) ნალექებით, რომელიც წარმოდგენილია თაბაშირიანი და კარბონატული თიხებით, იაროზიტის ნაფიფქებით და თიხიანი ქვიშაქვებით. ასევე, ქვედა ოლიგოცენური (ხადუმის ჰორიზონტი Pg3ch) ასაკის ნალექები, რომელიც წარმოდგენილია თიხიანი ქვიშაქვების და კარბონატული თიხების შუაშრების შემცველი უხემმარცვლოვანი ქვიშაქვებით და მიკრო კონგლომეტარებით.

თანამედროვე გეოლოგიური პროცესები, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სანაყაროს მოწყობა-ფუნქციონირებას, პრაქტიკულად არ ფიქსირდება და ადგილი აქვს მხოლოდ უმნიშვნელო ფართობულ ეროზიას. შესაბამისად სანაყაროს მოსაწყობად, წინასწარ შერჩეული ტერიტორია მდგრადია და არც მომავალშია მოსალოდნელი რაიმე სახის გართულებები.

სანაყაროზე გრუნტისა და ფუჭი ქანების განთავსების პროცესში, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ფორმირებული საფეხურის ჩამოშვავებას. საფეხურის ჩამოშვავების ნიშნების გამოვლენისას, სანაყაროზე სამუშაოები შეჩერდება და განხორციელდება პრევენციული ღონისძიებები, უსაფრთხოების სპეციალური ზომების შესაბამისად. სანაყაროს ფერდების ქანობის ფორმირება

მოხდება პროექტის მიხედვით, რაც მინიმუმამდე ამცირებს ჩამოშვავების რისკებს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება სისტემატიური დაკვირვება. ფერდზე ნაპრალებისა და ბზარების აღმოჩენის შემთხვევაში, გრუნტის მოულოდნელი (თვითნებური) ჩამოშვავების თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნება პრევენციული ზომები.

3.3 ზემოქმედება წყლის გარემოზე

წყლის გარემოზე ზემოქმედებაში იგულისხმება:

- წყლის რესურსების გამოყენება;
- წყლის (ზედაპირული ან მიწისქვეშა) დაბინძურება;
- იქთიოფაუნაზე და წყალთან დაკავშირებულ ცხოველებზე ზემოქმედება.

როგორც უკვე აღინიშნა, სანაყაროს ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ცოცხნარისწყალი დაშორებულია 890 მ-ზე მეტი მანძილით, რაც გამორიცხავს საქმიანობის პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკებს და ასევე, იქთიოფაუნაზე და წყალთან დაკავშირებულ ცხოველებზე ზემოქმედებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი საქმიანობა, არ ითვალისწინებს წყლის გამოყენებას და არც წყლის რესურსების გამოყენებით მოსალოდნელი რისკები არ არსებობს.

საქმიანობის პროცესში, მიწის სამუშაოების და ტრანსპორტის მოძრაობის გამო, არსებობს გრუნტის წყლების დაბინძურების გარკვეული რისკები. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები დაკავშირებულია ნავთობპროდუქტების და სხვა ნივთიერებების დაღვრასთან და დამაბინძურებლების ღრმა ფენებში გადაადგილებასთან.

ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექებით დამაბინძურებელი ნივთიერებების ღრმა ფენებში გადაადგილების რისკების შემცირებისთვის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დაბინძურებული ნიადაგის ფენის დროულ მოხსნას და რემედიაციას.

გრუნტის წყლების დაბინძურების რისკების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია ნიადაგის/გრუნტის ხარისხის დაცვასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, ვინაიდან გარემოს ეს ორი ობიექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

3.4 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილის ტერიტორიაზე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე 8-10 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ნიადაგის ან გრუნტის ხარისხის გაუარესება მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს უკავშირდება, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაღვრას. ტერიტორიაზე არ მოხდება დამაბინძურებელი ნივთიერებების, მაგ ნავთობპროდუქტების და სახიფათო ნარჩენების განთავსება. აქედან გამომდინარე, დაბინძურების რისკები მცირეა.

როგორც უკვე აღინიშნა, ნიადაგის მოხსნა და დასაწყობება განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენახვის მიზნით დასაწყობებული იქნება საწარმოო მოედნის მიმდებარედ, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, სადაც დაცული იქნება გადარეცხვისაგან, სხვა ქანებთან შერევის და დაბინძურებისაგან, შენარჩუნდება ნიადაგის სტრუქტურა და მისი

ნაყოფიერება.

აერაციის ხელშეწყობის მიზნით, ნიადაგის დასაწყობება მოხდება გროვებად ან ტერასად, თითოეულ ტერასაზე მოეწყობა 2-3 მეტრის სიმაღლის საფეხურები. დასაწყობებული ნიადაგის პერიმეტრზე სანიღვრე წყლებისგან დასაცავად მოეწყობა წყალამრიდები, რელიეფის დახრის მიმართულებით.

ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგი, გამოყენებული იქნება საპროექტო სანაყაროს რეკულტივაციისთვის.

3.5 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება საქართველოს წითელი ნუსხით დაცული და ზურმუხტის უბნისთვის დამახასიათებელ სახეობები. დამატებითი ზემოქმედების ქვეშ არ ექცევა 8 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სანაყაროს მოწყობა-ფორმირების შედეგად, ჰაბიტატებზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი მნიშვნელობის.

საპროექტო არეალში მოზინადრე ცხოველთა სახეობრივი შემადგენლობა საკმაოდ ღარიბია, აქედან გამომდინარე ცხოველთა თავშესაფრების უშუალო დაზიანებას მასშტაბური ხასიათი არ ექნება. ამ ადგილებში მსხვილი ძუძუმწოვრების საბინადრო ადგილების არსებობის ალბათობა მინიმალურია, რადგან ძალიან მაღალია შემაწუხებელი ფაქტორების გავლენა (დასახლებული უბნები), შესაბამისად, ეს სახეობები უპირატესობას ანიჭებენ შედარებით წყნარ ადგილებს, სადაც ადამიანის გავლენა მინიმალურია.

ტერიტორიის ლანდშაფტური თავისებურებებიდან გამომდინარე მინიმალურია დიდი ზომის ლეშიჭამია ფრინველების: ბატკანძერის, ფასკუნჯის და სხვ. მოხვედრა საპროექტო ტერიტორიაზე. შესაბამისად მსხვილი ზომის მტაცებელ ფრინველებზე პირდაპირი ზემოქმედება, ან მათი საცხოვრებელი გარემოს დაზიანება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეულ რისკებს: მტვერი, ხმაური, უშუალო დაჯახება. მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში მსგავსი ხასიათის ზემოქმედებებს, ამ მხრივ, რისკები მინიმალურია.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი პროექტი, ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს, რადგან, აღნიშნული ტერიტორია განიცდის ანთროპოგენულ ზემოქმედებას და ცხოველთა მაღალი სიმჭიდროვის პოპულაციების არსებობა არ ფიქსირდება, სახეობრივი მრავალფეროვნებაც მცირეა და დიდი ალბათობით, ცხოველები ამ ტერიტორიას ვეღარ იყენებს საბინადროდ.

3.6 ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა. მოსალოდნელი ნარჩენებიდან აღსანიშნავია შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული გრუნტი.

პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ავტომაგისტრალის პროექტისთვის შემუშავებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

3.7 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილისთვის შერჩეული ტერიტორია მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს და არსებული ლანდშაფტური გარემო საგრძნობლად სახეცვლილია. ტერიტორიას არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული ვიზუალურ-ესთეტიური ღირებულება.

გამოუსადეგარი გრუნტის განსათავსებელი ადგილის ფორმირების შემდეგ დაგეგმილმა რეკულტივაციის ღონიძიებებმა, შესაძლებელია უკეთესობისკენ შეცვლოს ტერიტორიის ვიზუალური მხარე.

4 გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შედარებითი ანალიზი

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, სკრინინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროებას. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სააგენტო, იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს, გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- საქმიანობის მახასიათებლები:
 - საქმიანობის მასშტაბი;
 - არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
 - ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
 - ნარჩენების წარმოქმნა;
 - გარემოს დაბინძურება და ხმაური;
 - საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
 - ქარბტენიან ტერიტორიასთან;
 - შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
 - ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
 - დაცულ ტერიტორიებთან;
 - მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
 - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
 - ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
 - ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ცხრილის სახით. (იხ. ცხრილი 4.1).

ცხრილი 4.1. შედარებითი ანალიზი

N	კრიტერიუმები	გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკის არსებობა		აღმოსავლეთ-დასავლეთ E-60 მაგისტრალის ზემო ოსიური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის მოდერნიზების პროექტის ფარგლებში სანაყაროს მოწყობით გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება
		დიახ	არა	
1.	საქმიანობის მახასიათებლები			
1.1	საქმიანობის მასშტაბი		არა	საქმიანობა წარმოადგენს შედარებით მასშტაბურ პროექტს, ზემო ოსიური-ჩუმათელეთის გზის მშენებლობის დამხმარე ინფრასტრუქტურას და ძირითადი პროექტის სამშენებლო მასშტაბის გათვალისწინებით, საქმიანობა არ განიხილება მასშტაბურ საქმიანობად.
1.2	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		არა	სანაყაროს მოწყობა-ფორმირება არ უკავშირდება სამრეწველო ნარჩენების წარმოქმნას და ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას. საქმიანობის ეტაპზე ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში ემისიებს და ხმაურის გავრცელებას, თუმცა, აღნიშნული ზემოქმედება იქნება დროებითი და შექცევადი. დაგეგმილი საქმიანობა, საავტომობილო გზის მშენებლობასთან ერთად, განიხილება კუმულაციური ზემოქმედების მქონე საქმიანობად, თუმცა კუმულაციური ეფექტის მასშტაბი არ იქნება მნიშვნელოვანი.
1.3	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		არა	სანაყაროს მოწყობა გათვალისწინებულია კერძო საკუთრებაში არსებულ, არასასიფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ გამოირჩევა ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნებით. დღეისათვის სანაყაროს პერიმეტრის დიდი ნაწილი უკვე დეგრადირებულია და შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედება უმეტესწილად დამდგარია, ამიტომ ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები მინიმალურია.
1.3	ნარჩენების წარმოქმნა		არა	სანაყაროს მოწყობა-ფორმირების ეტაპებზე ადგილი არ ექნება სამრეწველო ნარჩენების წარმოქმნას, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მცირე რაოდენობით დაბინძურებული გრუნტის ნარჩენების დაგროვებას, რაც არ განიხილება მნიშვნელოვან ზემოქმედებად.
1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური		არა	სანაყაროს მოწყობა-ფორმირების ეტაპებზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედება დროებითია და არ იქნება მასშტაბური.

1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		არა	ვინაიდან საქმიანობა არ ხასიათდება მასშტაბურობით, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები არ არსებობს.
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		არა	სანაყაროს ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს და, შესაბამისად, მათზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		არა	სანაყაროს ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან არავითარ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		არა	სანაყაროს ტერიტორია არ შედის სატყეო ფონდის საზღვრებში და ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი მცენარეული საფარი და დაცულია ცხოველების შეღწევისგან.
2.4	დაცულ ტერიტორიებთან		არა	სანაყაროს ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორი (ზურმუხტის ქსელის უბანი „სურამი“) მდებარეობს დაახლოებით 3000 მ-ზე მეტ მანძილზე. აქედან გამომდინარე, დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		არა	უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 160 მეტრში. რაც შეეხება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან უახლოესი მანძილი შეადგენს 600 მეტრს. დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების პირობებში, დასახლებულ პუნქტებზე ზემოქმედების მასშტაბი არ იქნება მნიშვნელოვანი.
2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		არა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკები არ არსებობს.
3. საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:				
3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		არა	საქმიანობა არ ატარებს ტრანს-სასაზღვრო ზემოქმედების ხასიათს.
3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		არა	საქმიანობა გარემოზე მაღალ ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

5 დასკვნითი ნაწილი

- საპროექტო არეალი გამოირჩევა მაღალი ანთროპოგენური დატვირთვით, სადაც ბუნებრივი კომპონენტები შესამჩნევად სახეცვლილია. პროექტით განსაზღვრული სანაყაროს მოწყობის შედეგად გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე დამატებითი ნეგატიური ზემოქმედება მინიმალურია და ცალკეულ შემთხვევებში მოსალოდნელი არ არის;
- სანაყაროს განთავსების ტერიტორიასა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის პირდაპირი მანძილი შეადგენს დაახლოებით 160 მეტრს და სანაყაროს მოწყობა ფორმირების ეტაპზე საჭირო იქნება შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მაგ: მიწის სამუშაოების და ნაყარი ტვირთების მართვის პროცესში სიფრთხილის ზომების მიღება; ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; ტრანსპორტირების სიჩქარეების მინიმუმამდე შემცირება; სანაყარომდე მისასვლელი გზის დანამკვა;
- სანაყაროს ტერიტორიის მომზადების და შემდეგ, სანაყაროზე გრუნტის და ფუჭი ქანების განთავსების პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს დაახლოებით 18 თვის განმავლობაში, შესაბამისად, ზემოქმედება იქნება დროებითი, რომელიც შესაძლებელია შემცირდეს შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელებით;
- ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, რაც გამორიცხავს ღამის საათებში, სანაყაროზე გრუნტისა და გამონამუშევარი ფუჭი ქანების შეტანა-დასაწყობების ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურით, სანაყაროს მიმდებარედ, დასახლებული უბნის მოსახლეობის შეწუხების ფაქტორს;
- ტერიტორიაზე, თანამედროვე გეოლოგიური პროცესები, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სანაყაროს მოწყობა-ფუნქციონირებას, პრაქტიკულად არ ფიქსირდება;
- სანაყაროზე გრუნტისა და ფუჭი ქანების განთავსების პროცესში, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ფორმირებული საფეხურის ჩამოშვავებას. საფეხურის ჩამოშვავების ნიშნების გამოვლენისას, სანაყაროზე სამუშაოები შეჩერდება და განხორციელდება პრევენციული ღონისძიებები;
- სანაყაროს ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ცოცხნარისწყალი დაშორებულია 890 მ-ზე მეტი მანძილით, რაც გამორიცხავს საქმიანობის პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკებს;
- ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგი, გამოყენებული იქნება საპროექტო სანაყაროს რეკულტივაციისთვის;
- განსახილველი პროექტი, ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს, რადგან, აღნიშნული ტერიტორია განიცდის ანთროპოგენულ ზემოქმედებას და ცხოველთა მაღალი სიმჭიდროვის პოპულაციების არსებობა არ ფიქსირდება, სახეობრივი მრავალფეროვნებაც მცირეა და დიდი ალბათობით, ცხოველები ამ ტერიტორიას ვეღარ იყენებს საბინადროდ;
- საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა. მოსალოდნელი ნარჩენებიდან აღსანიშნავია შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შედეგად წარმოქმნილი დაბინძურებული გრუნტი;
- სანაყაროს ფორმირების შემდეგ დაგეგმილმა რეკულტივაციის ღონისძიებებმა, შესაძლებელია უკეთესობისკენ შეცვლოს ტერიტორიის ვიზუალური მხარე.

დანართი 1 - საჯარო რეესტრის ამონაწერი



შიქსი (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 69.04.52.820**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022220807 - 01/04/2022 10:01:24

მომზადების თარიღი
07/04/2022 17:33:24

საკუთრების განყოფილება

მონა საშური	სექტორი სურამი	კვარგალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსტგებული ფართობი: 78773.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
69	04	52	820	

მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოძისი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022079234 , თარიღი 02/02/2022 13:55:49
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/02/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N 05/11 , დამოწმების თარიღი: 02/02/2022 „შპს“ აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია "

მესაკუთრები:

შპს "საქსპეცტრანსი", ID ნომერი:205064446

მესაკუთრე:

შპს "საქსპეცტრანსი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882022220807
თარიღი 01/04/2022
10:01:24

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
07/04/2022

მოიცარე: შპს კორპორაცია სინოპიდროშ11100007109331046;

საგანი: ფართი: 50471 კვ.მ.;

ვალა: 18 თვე;

ფართის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N220244051, დამოწმების თარიღი 10/03/2022, ნოგარიუსი ე.მერგელ

შემდეგული სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882011984554
თარიღი 17/11/2021
17:38:49

შიწის ნაკვეთზე ფართობით 1796 კვ.მ. ვრცელდება სერვისების უფლება;

ბრძანება N1/7-301 , დამოწმების თარიღი: 17/11/2021 ,სსიპ "სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო,

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
29/11/2021

ვალიტებულება

ყბარღასკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

ზოგადი რეგისტრაცია:

რეგისტრირებული არ არის

"ფაქტური შიწის შიქრი 1 წლიან ვადით საკონტრაქტო არსებული შიქრიანული აქციის რეალიზაციის, აგრეთვე საკონტრაქტო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საშუალო ღირებულების საშუალო ეტაპისადი ეტაპის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებ აღნიშნული ფაქტური შიქრი ახვე ვადით წარუდგენს დეკლარაციას საკონტრაქტო ორგანოს. აღნიშნული ვალიტებულების შეფარდებულობა წარმოადგენს საკონტრაქტო საშრობადრდევებს, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საკონტრაქტო კოდექსის XVIII თავის შესუფით."

- + დოკუმენტის ნაბეჭდილობის ვადამოწმება შესაძლებელია საფარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფისში ვებგვერდზე www.sae.gov.ge;
- + ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე www.sae.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, ოფისის სახელისა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებში;
- + ამონაწერში გვერდური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დამოკიდებულება: 2 403403 ან პირადად შედის განაცხადი ვებგვერდზე;
- + კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოფისის სახელის ქველ ხაზზე 2 403403;
- + საფარო რეგისტრის დანაშაურობის შესახებ უკანონო ქმედების შემთხვევაში დამოკიდებულება ქველ ხაზზე: 00 009 009 09
- + ექვემდებარება საინფორმაციო ნებისმიერ საკონტრაქტო დამოკიდებულებით მოცულობით ვალიტებულება: info@sae.gov.ge

დანართი 2- მიწის მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



69781266327722

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
იჯარა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220244051



რეგისტრაციის თარიღი
10.03.2022 წ

ნოტარიუსი: ელენე მერგელ
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4
ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაორი წლის ათ მარტს, მე, ელენე მერგელს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროც, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #22/4, მომმართვეს შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა:

(ა) ბ-ნმა ლევანი ჯიმშელიაშვილმა (დაბადებული 27.01.1973წ., საქართველოს მოქალაქე, პირადი #01015014793, რეგისტრირებული: თბილისი, შ.დადიანის ქ. N 26), რომელიც მოქმედებდა როგორც შპს „საქსპექტრანსი“-ს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრაციის თარიღი: 01/04/2005წ., იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჯიქიას ქ., №18, საიდენტიფიკაციო კოდი: 205064446) (შემდგომში - „მეიჯარე“) დირექტორი და უფლებამოსილი წარმომადგენელი, თანახმად (ა) ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირების რეესტრიდან; (ბ) მეიჯარის წესდებისა და (გ) შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს მიერ გაცემული წერილისა, ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული 01.03.2022წ., ნოტარიუს დ. ოყროშიძის მიერ, რ/რ #220210686;

(ბ) ბ-ნმა ჩუნმინგ ვანგმა (დაბადებული 20.01.1973წ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე, პასპორტის ნომერი: PE1475613, გაცემული 16.04.2018წ., მოქმედების ვადა: 16.04.2023წ., საქართველოში ბინადრობის მოწმობის (15PR08990) მიხედვით პირადი #57491000057, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ ლომონოსოვის ქუჩა, N 11), რომელიც მოქმედებდა როგორც შპს „კორპორაცია სინოპიდროს ფილიალი საქართველოში“-ს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ფილიალი, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404859122, იურიდიული მისამართით: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა N22, სადარბაზო 1, სართული 1, კომერციული ფართი N1) (შემდგომში - „მოიჯარე“ და/ან „ფილიალი“) დირექტორი და უფლებამოსილი წარმომადგენელი, თანახმად (ა) ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირების რეესტრიდან; (ბ) ფილიალის წესდებისა და (გ) 2021 წლის 16 აგვისტოს მინდობილობისა №SHCL-POA-09-E-2021-15, ნოტარიულად დამოწმებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნოტარიუსის მიერ, ლეგალიზებულია საქართველოს საელჩოს მიერ ქ. პეკინში 13/10/2021წ.,

ბ-ნმა ლევანი ჯიმშელიაშვილმა და ბ-ნმა ჩუნმინგ ვანგმა განაცხადეს, რომ სურთ თავიანთი წარმოდგენილი პირების სახელით დადონ უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოძისი, საკადასტრო კოდით #69.04.52.820 (შემდგომში - „საიჯარო ქონება“). ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე შევამოწმე ის ფაქტი, რომ საიჯარო ქონება საკუთრების უფლებით ნამდვილად ეკუთვნის მეიჯარეს. საიჯარო ქონებაზე მეიჯარის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მომზადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 04/02/2022წ. განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882022079234 – 02/02/2022.

მხარეებმა წარმოადგინეს იჯარის ხელშეკრულების პროექტი შედგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოითხოვეს მისი სანოტარო წესით დამოწმება. მხარეებმა წარმოადგინეს ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შემდეგ მე დაფრწმუნდი, რომ მხარეები უფლებამოსილი იყვნენ დაედოთ წინამდებარე ხელშეკრულება. ხელშეკრულება წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ყველა მხარემ თანხმობა განაცხადა ნოტარიუსის მიერ თარგმანის

განხორციელებაზე. მე, ნოტარიუსი ჯეროვნად ვფლობ ინგლისურ ენას და ვუზრუნველყოფ აქტის ქართული და ინგლისური ტექსტების შესაბამისობას, თუმცა მხარეთა შეთანხმებისამებრ, ხელშეკრულების 9.5 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ქართულენოვან ვერსიას გააჩნია უპირატესი ძალა ინგლისურ ენაზე თარგმნილ ვერსიასთან მიმართებაში. მე წინამდებარე ხელშეკრულების პროექტი, წავუკითხე მხარეებს, განვუმარტე მათ ხელშეკრულების შინაარსი და ამ ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები, მათ შორის:

„ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის და მე-40 მუხლის შესაბამისად, მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებების დარღვევისას, მოიჯარის მოთხოვნით, ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს, რომლითაც განხორციელდება მოიჯარის მიმართ იძულებითი აღსრულება. ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ან/და მტკიცებულებების გამოთხოვის გარეშე. ამასთან, სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, ვერ შეაჩერებს აღსრულებას.

აუცილებელი განმარტებების მოხმენის შემდეგ, მხარეებმა მკაფიოდ და ნათლად დაადასტურეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, რის შემდგომაც პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას სანოტარო აქტს ხელი მოეწერა ოთხ დედან ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუს ელენე მერგელის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემათ მხარეებს. სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო არქივში, დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მოიჯარის შესახებ;
2. მოიჯარის წესდება;
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს შესახებ;
4. შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს მიერ გაცემული წერილი, ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული 01.03.2022წ., ნოტარიუს დ. ოყროშიძის მიერ, რ/რ #220210686;
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მოიჯარის შესახებ;
6. ფილიალის წესდება;
7. 2021 წლის 16 აგვისტოს მინდობილობა №SHCL-POA-09-E-2021-15, ნოტარიულად დამოწმებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნოტარიუსის მიერ, ლეგალიზებული საქართველოს საელჩოს მიერ ქ. პეკინში 13/10/2021წ., - ამონაბეჭდი სამეწარმეო რეესტრიდან;
8. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საიჯარო ქონების შესახებ;

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაური (გარიგების ღირებულებიდან: 227 128.14 ლ.) 616,76 ლარის ოდენობით, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების მე-12 და 23-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ – 111,02 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლარი – ელექტრონულ სანტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ – 729,78 ლარი.

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

10 მარტი 2022

წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში „*ხელშეკრულება*“) დაიდო 2022 წლის 10 მარტს შემდეგ მხარეებს შორის:

შპს „საქსპეცტრანსი“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრაციის თარიღი: 01/04/2005წ., იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჯიქიას ქ., №18, საიდენტიფიკაციო კოდი: 205064446) (შემდგომში - „*მეიჯარე*“), წარმოდგენილი დირექტორის, ზ-ნი ლევანი ჯიმშელიძის (პ/ნ 01015014793) მიერ;

და

შპს „კორპორაცია სინოპიდროს ფილიალი საქართველოში“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ფილიალი, საიდენტიფიკაციო ნომრი: 404859122, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა N22, სადარბაზო 1, სართული1, კომერციული ფართი N1) (შემდგომში - „*მოიჯარე*“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჩუნწინგ ვანგის (პასპორტის ნომერი: PE1475613, საქართველოში ბინადრობის მოწმობის მიხედვით პირადი ნომერი: 57491000057) მიერ;

თითოეული შემდგომში მოიხსენიება როგორც „*მხარე*“, ხოლო ერთობლივად როგორც „*მხარეები*“.

მხარეები წინამდებარით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე *მეიჯარე* გადასცემს *მოიჯარეს* წინამდებარე ხელშეკრულების მუხლში 1.2 მითითებულ საიჯარო ქონებას დროებით სარგებლობაში, ხოლო *მოიჯარე* იღებს ვალდებულებას გადაუხადოს *მეიჯარეს* საიჯარო ქირა და სხვა გადასახადები იმ ვადაში და იმ ოდენობით როგორც ეს მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში.

1.2. საიჯარო ქონებას წარმოადგენს 78773.00 კვ.მ დაზუსტებული ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილი 50 471 კვ.მ. ოდენობით, მდებარე მისამართზე: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოძისი (საკადასტრო კოდი: 69.04.52.820). საიჯარო ქონების აზომვითი ნახაზი დანართი N1-ის სახით ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. უძრავი ქონების, რომლის ნაწილსაც შეადგენს საიჯარო ქონება, ტექნიკური მახასიათებლებია:

ზონა: ხაშური 69; სექტორი: სურამი 04;

კვარტალი: 52; ნაკვეთი: 820;

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;

დაზუსტებული ფართობი: 78773.00 კვ.მ.;

ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოძისი;

მესაკუთრე: შპს „საქსპეცტრანსი“ (ს/ნ 205064446);

საკადასტრო კოდი: 69.04.52.820;

შეზღუდული სარგებლობა: მიწის ნაკვეთზე ფართობით 1798 კვ.მ ვრცელდება სერვიტუტის უფლება (ბრძანება N1/7-301, დამოწმების თარიღი: 17/11/2021, სსიპ „სახელმწიფო ქონების

ეროვნული სააგენტო“), განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882021984554, უფლების რეგისტრაციის თარიღი: 29/11/2021; (შემდგომში - „საიჯარო ქონება“).

1.3. საიჯარო ქონება გამოყენებული უნდა იქნას მოიჯარის მიერ გრუნტისა და ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობის მიზნით, წინამდებარე პროექტის „საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ E-60 მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთი ლოტი 2 (კმ7+700-კმ14+060) სამშენებლო სამუშაოები, პროექტი EWCIP/CW/RFB-01 E-60 მაგისტრალი“ შესაბამისად. საიჯარო ქონების ნებისმიერი სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს წინასწარ წერილობით არის შეთანხმებული მეიჯარესთან.

მუხლი 2. ხელშეკრულების ვადა

2.1. საიჯარო ურთიერთობები ძალაში შედის 2022 წლის 01 აპრილიდან და ძალაშია 18 (თვრამეტი) თვის ვადით (შემდგომში - “ვადა”).

2.2. მხარეებს უფლება აქვთ გააგრძელონ ხელშეკრულების ვადა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს და წარედგინოს საიჯარო რეესტრს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. თუ ასეთი შეთანხმება არ წარედგინება საიჯარო რეესტრს, წინამდებარე ხელშეკრულება კარგავს იურიდიულ ძალას ვადის გასვლის თარიღზე და ექვემდებარება გაუქმებას საიჯარო რეესტრის ჩანაწერებში.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადის გასვლამდე ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფუძველის არსებობისას და მასში მოცემული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 3. საიჯარო ქირა და სხვა გადასახადები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად საიჯარო ქონების სარგებლობისათვის მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს ყოველთვიური ფიქსირებული ქირა 12 618.23 (თორმეტი ათას ექვსას თვრამეტი და ოცდასამი) ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით) (შემდგომში - “ქირა”).

3.2. მოიჯარე ვალდებულია ქირა გადაიხადოს წინასწარ, ყოველი საანგარიშო თვის ხუთ რიცხვამდე.

3.3. ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, მეიჯარეს უფლება აქვს დააკისროს და მოიჯარე ვალდებული იქნება გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის 0.1%-ის ოდენობით. მხარეები ცალსახად თანხმდებიან, რომ გადახდის დაგვიანების შემთხვევაში 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი დღით, მეიჯარეს უფლება აქვს გამოიყენოს მისთვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით მინიჭებული უფლებები, მათ შორის უფლება მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, 7.4 მუხლის შესაბამისად.

3.4. ქირის გადახდა განხორციელდება ლარში, გადარიცხვის გზით მეიჯარის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში. აღნიშნული საბანკო ანგარიშის ამონაწერი, რომელიც ადასტურებს კონკრეტულ თარიღზე მოიჯარის მიერ გადასახდელი თანხის გადაუხდელობას, ჩაითვლება მოიჯარის მიერ თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის უდავო მტკიცებულად.

3.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ქირა არ ექვემდებარება გადასინჯვას ვადის განმავლობაში.

მუხლი 4. მეიჯარის გარანტიები

წინამდებარე ხელშეკრულებით მეიჯარე გარანტიას აძლევს მოიჯარეს, რომ:

ა) საიჯარო ქონებას არ გააჩნია რაიმე წუნი და/ან ნაკლი, რამაც შესაძლოა დააზარდოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) საიჯარო ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა, არ ვრცელდება სხვა უფლებრივი დატვირთვა ან მესამე პირების უფლება (გარდა საიჯარო ქონების ნაწილზე, კერძოდ 1798 კვ.მ ფართზე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული სერვიტუტისა) რამაც შესაძლოა დააზარდოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. საიჯარო ქონების გადაცემის მომენტში გაფორმდება და ხელი მოეწერება ორივე მხარის მიერ მიღება-ჩაბარების აქტს. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები წინამდებარით თანხმდებიან, რომ მეიჯარის მიერ საიჯარო ქონების მოიჯარისათვის გადაცემის წინაპირობას წარმოადგენს მოიჯარის მიერ ზემოხსენებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე რაიმე მიზეზით უარს განაცხადებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე (როგორც აღწერილია ზემოთ), მეიჯარე უფლებამოსილია, არ გადასცეს საიჯარო ქონება მოიჯარეს მის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე.

5.2. მხარეები წინამდებარით აღიარებენ, რომ ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის მეიჯარემ მოიჯარეს სრულად გააცნო საიჯარო ქონების მდგომარეობა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის და მოიჯარე აცხადებს, რომ მისთვის მისაღებია საიჯარო ქონების ხარისხი. მეიჯარე საიჯარო ქონებას გადასცემს მოიჯარეს არსებულ მდგომარეობაში.

5.3. მოიჯარე ვალდებულია, აღადგინოს ფუჭი ქანების დასაწყობების დროს დაზიანებული მწვანე საფარი, კერძოდ მოახდინოს წინასწარ მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის (10-15სმ) გადაფარება და შემდეგ ბალახის დათესვა.

5.3.1. წინამდებარე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება ჯარიმა 5.3 მუხლით გათვალისწინებული პირობის შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯების ორმაგი ოდენობით, რომელიც განსაზღვრული იქნება საექსპერტო დაწესებულების დასკვნის შესაბამისად;

5.4. მოიჯარე ვალდებულია იზრუნოს გარემოს დაცვაზე, ზედმიწევნით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარე პასუხისმგებელია და ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზიანი, ასევე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაკისრებულ ყველა ჯარიმა/საურავი.

5.5. მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც მიადგება მეიჯარის ქონებას, რაც გამოწვეულია მოიჯარის და/ან მასთან დაკავშირებული პირების განზრახვი მოქმედებებით (უმოქმედობით) ან დაუღვევრობით.

5.6. მეიჯარეს უფლება აქვს ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დაათვალიეროს საიჯარო ქონება, რათა დარწმუნდეს, რომ მოიჯარე ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მის ვალდებულებებს.

5.7. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან მისი შეწყვეტის შემდეგ, მოიჯარე დატოვებს საიჯარო ქონებას და დაუბრუნებს მეიჯარეს იმ მდგომარეობაში რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 5.3 მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არ დატოვებს საიჯარო ქონებას მეიჯარისგან ამის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში, მეიჯარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

6.2. მეიჯარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისთვის შეწყვეტის თარიღამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით. აღნიშნული წესებიდან გამონაკლისს წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების 6.3 პუნქტში გაწერილი შემთხვევები.

6.3. მეიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად, 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

ა) თუ მოიჯარე განზრახ ან არაერთჯერადი გაუფრხილებლობით აუარესებს საიჯარო ქონების მდგომარეობას;

ბ) თუ მოიჯარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

გ) თუ მოიჯარე ქირის გადახდას აგვიანებს 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;

მუხლის 7. დავების მოგვარება

7.1. ეს ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

7.2. მხარეთა შორის უთანხმოების შემთხვევაში, ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მოლაპარაკებით ვერ დაარეგულირებენ მათ შორის არსებულ დავას 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოებს.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, დავის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^ა ნაწილის შესაბამისად.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა დებულების (მათ შორის მე-7 მუხლის) მიუხედავად, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მოიჯარის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მეიჯარეს უფლება აქვს მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. ასეთ შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება განხორციელდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მოიჯარის მთელ ქონებაზე. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ ნოტარიუსისგან მიიღეს ჯეროვანი განმარტებები ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ინსტიტუტის (მისი არსისა და ძირითადი პრინციპების) შესახებ და მათთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი ცვლის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელს. შესაბამისად, მეიჯარეს უფლება ექნება სასამართლოსადმი მიმართვის და სასამართლო წარმოების გარეშე მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და მოიჯარის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესი დაიწყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ნებისმიერი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის თუ ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ასეთი მხარის წინააღმდეგ პრეტენზიის წაყენებას და არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორული გარემოებით, რომელსაც აღნიშნული მხარე წინასწარ ვერ განსაზღვრავდა და ვერ აიცილებდა თავიდან მიზანშეწონილი ზომების მიღებით. ასეთი განსაკუთრებული გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: წყალდიდობა, ხანძარი რომელიც გამოწვეულია მოიჯარისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო ოპერაციები, გაფიცვები, აჯანყებები, სამთავრობო აქტები ან მოქმედებები.

8.2. მხარე, რომელიც აცხადებს ფორს მაჟორული გარემოების დადგომას გათავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისგან მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც მისი შესრულება ფერხდება ფორს მაჟორული გარემოებით და იგი არ გათავისუფლდება ნებისმიერი სხვა ვალდებულების შესრულებისგან, რომელსაც არ აფერხებს ფორს მაჟორული გარემოება.

8.3. მხარეს რომელიც აცხადებს ფორს მაჟორული გარემოების დადგომას მიეცემა მიზანშეწონილი ვადა იმ ვალდებულების შესრულებისათვის, რომლიც შესრულებასაც აფერხებს ფორს მაჟორული გარემოების დადგომა.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. ნებისმიერი შეტყობინება ან კორესპონდენცია რომელიც მხარეებმა უნდა მიაწოდონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიწოდებულ უნდა იქნეს წერილობით და ჩაბარდეს ადრესატს ხელზე (მიღების დადასტურებით), გაეგზავნოს ფოსტით, კურიერის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულების მე-10 მუხლით განსაზღვრულ შესაბამის საკორესპონდენციო მისამართზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკორესპონდენციო (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის) მისამართებზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება ადრესატის მიერ შეტყობინების მიღებად.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ან მისი მოდიფიკაცია შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა მიერ სათანადოდ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტით.

9.3. თუკი წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლი ან მისი ნაწილი, დათქმა ან პირობა რაიმე მიზეზით გამოცხადდება ბათილად ან ძალადაკარგულად, აღნიშნული არ იქონიებს გავლენას მთლიანად ხელშეკრულებისა და მისი დანარჩენი დებულებები ნამდვილობაზე და, შესაბამისად, არ გამოიწვევს ხელშეკრულების და მისი დანარჩენი მუხლების ბათილობას ან ძალადაკარგულად ცნობას.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასთან და საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება მოიჯარეს.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულებას ხელი ეწერება 4 (ოთხ) დედნად ეგზემპლარად (რომლებსაც დანართის სახით თან ერთვის დანართი N1), ქართულ და ინგლისურ ენებზე. რაიმე შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგება დამოწმდება ნოტარიულად. ხელშეკრულების თითო დედანი გადაეცემა თითოეულ მხარეს, ერთი დედანი შენახულ იქნება სანოტარო ბიუროში, ხოლო მეოთხე წარედგინება საჯარო რეესტრს მისი რეგისტრაციის მიზნით.

რის დასტურადაც, წინამდებარე ხელშეკრულებას ხელი მოეწერა მხარეების მიერ ზემოთ მითითებულ თარიღზე:

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

მეიჯარე
შპს „საქსპექტრანსი“

ს/ნ 205064446
საბანკო რეკვიზიტები
ბანკის დასახელება: „თი ბი სი“
ბ/კ - TBGBGE22
ა/ნ - GE59TB7650636050100001
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი ქინძმარაულის ქუჩა N13.
ელექტრონული ფოსტა: saxspectransi@gmail.com
ტელ: + 995 599 54 32 88


მოიჯარე
შპს “კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველო“
ს/ნ 404859122

ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქუჩა N22, სადარბაზო 1, სართული1, კომერციული ფართი N1)
ელექტრონული ფოსტა: eiasinohydro@gmail.com
ტელეფონი: + 995 595000226

დირექტორი: ლევანი ჯიმშელიაშვილი




დირექტორი: ჩუნმინგ ვანგ




ნოტარიუსი
ელენე მერგელ



დანართი N1
(აზომვითი ნახაზი)





მასშტაბი 1:3000



სახელმწიფო გეოდეზიური
კოორდინატთა სისტემა
WGS_1984_UTM_Zone_38N

მისამართი	ხაშურის მუნიციპალიტეტი, ხაშური, სოფელი ურთხვა		
დანიშნულება	სასოფლო-სამეურნეო	საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	ხელმოწერა:
ნაკვეთის ფართობი: 50471 კვ.მ	თარიღი: 2022-02-11	დაინტერესებული პირი	ხელმოწერა:
<p>პირობითი აღნიშვნები</p> <p>— ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი + ნურტილი</p>			
შენიშვნა:	<p>ი/მ მიხეილ ლასაბიძე ს.კ.: 57001048907; ტელ.: 599850640; ელ-ფოსტა: mikheil.lasabidze@gmail.com</p>		


საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი













მიწის ნაკვეთის/ხაზობრივი ნაგებობის ადგილმდებარეობა/მისამართი		ფართობი (კვ.მ)		დანიშნულება
ხაშურის მუნიციპალიტეტი, ხაშური, სოფელი ურთხვა		50471		სასოფლო-სამეურნეო
შენიშვნა ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა	განაშენიანების ფართობი (კვ.მ)
უფლებრივი შეზღუდვის/დატვირთვის საზღვრების აღწერა		ვალდებულების სახე		ფართობი (კვ.მ)
საზღვარი	მოსაზღვრის აღწერა	საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი გვარი		ხელმოწერა
A — B	სახელმწიფო	მიხეილ ლაცაბიძე		
B — C	სახელმწიფო			
C — D	სახელმწიფო			
D — E	სახელმწიფო			
E — F	სახელმწიფო			
F — A	სახელმწიფო			
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი		მიხეილ ლაცაბიძე		
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები		57001048907		
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია		მისამართი: ქ.ხაშური, სოფელი ცხრამუხა, ტელ: 599850640		
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია		რეალური დროის რეჟიმში (RFK) მ.ა.		
აზომვის შესრულების თარიღი		2022-02-11		
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა		მიხეილ ლაცაბიძე		
დაინტერესებული პირი		შ.პ.ს კორპორაცია სინო ჰიდროსისტემები საქართველოში		
დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები		404859122		
დაინტერესებული პირის ხელმოწერა				



დანართი 3 - მოსახლეობასთან გაფორმებული შეთანხმება

შეთანხმება	Agreement
<p>ხაშური, 28.09.2021</p>	<p>Khashuri, 28.09.2021</p>
<p>წინამდებარე შეთანხმება დაიდო შემდეგ მხარეებს შორის:</p> <p>შპს კორპორაციის სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ წარმოდგენილი ზ.ოსიაური-ჩუმათელეთის გზის (მე-2 ლოტი) პროექტის მენეჯერის სიანგ ჯინშენგის სახით (შემდგომში „სინოჰიდრო“)</p> <p>და</p> <p>ხაშურის მუნიციპალიტეტის ცოცხნარის თემის, ლაშხების უბნისა და ოძისის მოსახლეები (შემდგომში „მოსახლეები“</p>	<p>The present agreement entered between the following parties:</p> <p>The „Corporation Sinohydro Limited Branch in Georgia“</p> <p>Represented by the manager of Z.osiauri-Chumateleti road project Xiang Jinsheng, hereinafter referred to as „Sinohydro“</p> <p>And</p> <p>The inhabitants of Lashkhebis Ubani and Odzisi, of Tsotskhnari community of Khashuri Municipality, hereinafter referred to as „Inhabitants“</p>
<p>1. წინამდებარე ხელშეკრულების დადების ძირითადი და განსაკუთრებული პირობა:</p> <p>შეთანხმება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სინოჰიდროს“ მიერ მოხდება დანართი #1 მითითებული მიწის ნაკვეთის გამოყენება გვირაბიდან ექსკავირებული გრუნტისა და ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობად.</p>	<p>1. The main and specific condition of presented agreement: This agreement is in legal force only in case if „Sinohydro“ will use land plot mention in annex #1, for arrangement dumpsite of soil and muck excavated from the tunnel.</p> <p>The Parties agree that:</p>
<p>მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:</p> <p>2. ხაშურის მუნიციპალიტეტის ცოცხნარის თემის ლაშხების უბნისა და ოძისის მოსახლეობას პრეტენზია არ ექნებათ „სინოჰიდროს“ მიერ სანაყაროს მოწყობაზე და საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანოების წინაშე თანხმოსა დადასტურებენ ზეპირი ან წერილობით ფორმით.</p> <p>3. თავის მხრივ, „სინოჰიდრო“ იღებს ვალდებულებას, შემდეგზე:</p> <p>3.1 მოაწყოს სანაყარო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სტანდარტებით, ისე რომ მომავალში გამორიცხული იქნას ეროზიისა და მეწყერის საფრთხეები.</p> <p>3.2. მიწის ნაკვეთზე სარგებლობის ნებართვის მიღებისთანავე, მოხრეშოს ლაშხების უბანში 1300</p>	<p>2. Residents of Lashkhebis Ubani and Odzisi of Tsotskhnari community of Khashuri municipality will not have any claims regarding the arrangement of the landfill by Sinohydro and and in case of necessity, will confirm their consent orally or in writing form to the competent state or local authorities.</p> <p>3. In turn, the „Sinohydro“ assumes the following obligations:</p> <p>3.1 Arrange the dumpsite in accordance with the construction standards stipulated by the Georgian legislation in order to exclude the danger of erosion and landslides in the future.</p> <p>3.2 After obtaining a land use permit - to gravelling of 1300 meters road (the thickness of the gravel layer - 10 cm) in the Lashkhis Ubani;</p> <p>3.3 After obtaining a land use permit - start construction of a concrete canal up to 200 meters</p>

<p>მეტრის სიგრძის გზა (ლორდის ფენის სისქე- 10 სმ), 3.3 მიწის ნაკვეთზე სარგებლობის ნებართვის მიღებისთანავე, ლაშხების უბანში დაიწყოს 250 მეტრამდე სიგრძის ბეტონის არხის მშენებლობა, 3.4 მიწის ნაკვეთზე სარგებლობის ნებართვის მიღების შემდეგ და არაუგვიანეს 2022 წლის ზაფხულისა, ოძისის ტერიტორიაზე მოაწყოს 1800 კვ.მ ფართობის ბეტონის გზა (ბეტონის ფენის სისქე -10-12 სმ, ლითონის ბადის-100*100*5.8 mm სამირკვლით), 3.5 სანაყაროს დასრულების შემდეგ, ერთი თვის ვადაში, მოხრემოს 300 მეტრი გზა, სანაყაროდ გამოყენებული მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთიდან მხარეს (ხრემის ფენის სისქე - 10 სმ). 4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულების სრულ შესრულებამდე. 5. მხარეთა რეკვიზიტები.</p> <p>„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ 404859122) მის. ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის, ქ. #22, 1-ლი სართული, პროექტის მენეჯერი: სიანგ ჯინშენგი</p>	<p>in Lashkhis Ubani; 3.4. After obtaining a land use permit, but no later than the summer of 2022 - to arrange 1800 m2 concrete road (the thickness of concrete road-10-12 cm, with wire mesh -100*100*5.8 mm) in Odzisi. 3.5 During one months, after completion of dumpsite, to gravelling of 300 meters road (the thickness of the gravel layer - 10 cm) in the east side of dumpsite. 4. The agreement is effective after its signing and is in force until the fulfillment the all obligations by the parties, 5. The requisites of parties:</p> <p>Corporation Sinohydro limited branch in Georgia (I/N 404859122) Address: 1st floor, #22 G. Panjikidze str., Tbilisi, Georgia, Project manager: Xiang Jinsheng</p>  <p>The inhabitants of Lashkhebis Ubani and Odzisi of Tsotskhnari community of Khashuri municipality:</p> <p>_____ (ID _____)</p>
<p>ხაშურის მუნიციპალიტეტის, ცოცხნარის თემის ლაშხების უბნისა და ოძისის მოსახლეობა:</p> <p>_____ (3/6 _____)</p> <p>1. იანვუდი ჩაყენდი ჯ.ნ. 57001033813 აჩაყაყენი 2. ჭიღონ ჩაყენდი ჯ.ნ. 57001007046 ჭ. ჭიღონი 3. დიმიტრი ვოგადაძე ჯ.ნ. 57001046840 4. ნინა ვოგადაძე ჯ.ნ. 57001052617 ნ. ვოგადაძე 5. თამაზ ვოგადაძე ჯ.ნ. 57001053395 თ. ვოგადაძე 6. ნაწყო ვოგადაძე ჯ.ნ. 57001053393 ნ. ვოგადაძე 7. სოფო გედაშვილი ჯ.ნ. 57001049609 ს. გ. გედაშვილი 8. დავით გედაშვილი ჯ.ნ. 57001058324 დ. გედაშვილი 9. ცოუხი ვოგადაძე ჯ.ნ. 01016004093 ც. ვოგადაძე 10. ირაზა ჯიღიაშვილი ჯ.ნ. 58001004930 ი. ჯიღიაშვილი</p>	

- 11. ბეზღუღე პლიაძე ჯ.ბ. 57001024839 
 - 12. ევგენია პლიაძე ჯ.ბ. 01030007156 
 - 13. ვეფხვია პლიაძე ჯ.ბ. 57001028582  ვ. პლიაძე
 - 14. ენხნაძი პლიაძე ჯ.ბ. 57001037488  უ. ბონიკო.
 - 15. იუნიზა პლიაძე ჯ.ბ. 01008026930  ვ. ბეგიაძე
 - 16. ენხა ბეღაშვილი ჯ.ბ. 60001128877  ნ. ბეგიაძე
 - 17. დეი ბეღაშვილი ჯ.ბ. 60003007117  რ. ბეგიაძე
 - 18. ვადა ბეღაშვილი ჯ.ბ. 60001112734  ვ. ბეგიაძე
 - 19. შახი ჩხთაძე ჯ.ბ. 57001004571  ზ. ჩხთაძე
 - 20. ნაუზარა პლიაძე ჯ.ბ. 57001035088  ნ. პლიაძე
- სწავლადიხსენი გივა ღომსაძე ჯ.ბ. 57001051866 
- ბიკომპიუტერული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის
 მიზნით სისტემების მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
 ანდრეასიძე  ჯ. ლომიძე

დანართი 4 – სანაყაროს მოწყობის დეტალური პროექტი

<p>ზემო ოსიყურიდან ჩუმათელეთამდე საავტომობილო გზის E60 მონაკვეთის პროექტი ლოტი-2 (კმ7.700-14.050)</p>	
	 <p>საგზაო დეპარტამენტი საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის მინისტრის განკარგულებაში</p>
 <p>IRD ENGINEERING</p>	<p>IRD Engineering S.r.l. +39 06.97611271 info@irdeng.com</p>
 <p>中国水电 SINOHYDRO</p>	<p>Sinohydro Corporation Limited branch in Georgia</p>
<p>სანაყაროების მოწყობა ნარჩენი გრუნტის განსათავსებლად</p> <p>დეტალური პროექტი</p> <p>განმარტებითი ბარათი და ნახაზები</p> <p>2022 წელი</p>	

განმარტებითი ბარათი

პროექტით გათვალისწინებულია EWH მონაკვეთი ზემო ოსიაურსა და ჩუმათელეთს დააკავშირებს (კმ/ნ 7.700-14.050). ეს მაგისტრალის სრულიად ახალი მონაკვეთი იქნება, რომელიც გვერდს აუვლის დასახლებულ პუნქტებს. გზის საერთო სიგრძე 6.35 კმ, ხოლო მოხვევის მაქსიმალური რადიუსი 700მ იქნება. მედიანური ზოლი გაყოფს ერთმანეთისგან მაგისტრალის ორ ორზოლოვან სავალ ნაწილს. საავარიო და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის უზრუნველყოფილი იქნება მოკირწყლული გვერდულები. სადრენაჟე სისტემა, უსაფრთხოების ბარიერები, განათება და საგზაო ნიშნები მოეწყობა გზატკეცილის მოდერნიზებული მონაკვეთის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით. გზის საერთო სიგრძე 27მ შეადგენს. ჭრილის პარამეტრები მაგისტრალის წინა მონაკვეთების მსგავსად იქნება: ზოლების რაოდენობა – 4; ზოლის სიგრძე 3.5მ; სავალი ნაწილის სიგრძე - 2x7.5მ, გვერდულის სიგრძე - 3.5მ (3მ მოკირწყლული და 0.5მ მოუკირწყლავი) და გამყოფი ზოლის სიგრძე ბარიერების ჩათვლით – 5მ. საპროექტო სიჩქარე 100კმ/სთ და 80კმ/სთ იქნება. პროექტით გათვალისწინებულია 7 ხიდი და გზის ბოლო 3კმ-ის ფარგლებში -3 გვირაბის მშენებლობა. ახალი მონაკვეთი სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და წიწვოვან ნარგავებზე (ე.წ. ნარვანის ტყე) გადის, კვეთს სურამი-ცოცხნარას ადგილობრივ გზას, გადადის რამდენიმე საცხოვრებელ სახლზე სოფ. ურთყვაში და კვეთს მდ.შუაღელეს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სანაყაროს მოწყობის დეტალურ პროექტს. გამოყოფილ ადგილზე სანაყაროს მოწყობა წარმოდგენილია ცალკე ნახაზის სახით, რომელზეც დატანილია სანაყაროს განთავსება გეგმაში და სანაყაროს კვეთები, მასზე ნარჩენი გრუნტის განთავსების გათვალისწინებით.

კონკრეტულად:

სანაყარო მდებარეობს სოფ. ქემფერის ნარვანის უბნის 400 მ ჩრდილო-დასავლეთით მდებარე 5,0471 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთზე. სანაყაროს ტერიტორიას აქვს მრავალკუთხედის ფორმა, კუთხეების კოორდინატებით:

X	Y
380601.48	4655836.12
380727.88	4655855.43
380727.88	4655684.70
380879.11	4655684.70
380586.19	4655596.67
380873.68	4655544.78
S=5.0471 ჰა	

(იხ. სანაყარედ გამოყოფილი ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა ნახაზი #1)

სანაყარო განთავსებულია მშენებარე ავტომაგისტრალიდან 800 მ ჩრდილოეთით. სანაყაროდ გამოყოფილი ფართობი $S=50471\text{მ}^2$. ფართობზე გათვალისწინებულია 500000 მ^3 ფუჭი გრუნტის განთავსება(იხ.ნახაზი #2).

სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიიდან მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დროებით დასაწყობდება სანაყაროს ტერიტორიაზე(იხ.ნახაზი #3). სამუშაოების დამთავრების შემდეგ სანაყაროს მთელი ფართობი დაიფარება ნიადაგის ჰუმუსიანი ფენით და საჭიროების შემთხვევაში დაითესება ბალახი.

სანაყაროდ არჩეული მიწის ნაკვეთი 18 თვის ვადით იჯარის წესით გადმოეცა შპს კორპორაცია სინოჰიდროს (გთხოვთ იხილოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)

1. გეოლოგიური პირობების შეფასება

1.1 ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

საკვლევი უბანი(სანაყარო) მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 135 კმ-ში, მდ. მტკვრის ხეობაში ლიხის ქედის აღმოსავლეთით, რომელიც წარმოადგენს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ბუნებრივ საზღვარს. ტერიტორია ხასიათდება, მდ. მტკვრისა და მისი მარცხენა შენაკადების ეროზიული აკუმულაციური პროცესების შედეგად ფორმირებული შიდა ქართლის აკუმულაციური რელიეფით. ზემო ქართლის ხეობებში გამოიყოფა ჩრდილოეთი და სამხრეთი მონაკვეთები. ჩრდილოეთი ნაწილი მოიცავს ტირიფონ-საგურამოს მონაკვეთს, სამხრეთი - მდინარე მტკვარის ხეობას. ტირიფონ-საგურამოს მონაკვეთი გადის ლიახვის, ლეხურას, ქსნისა და არაგვის ნალექებზე. სანაყარო მდებარეობს ზღვის დონიდან 790 მეტრზე.

მოცემული ტერიტორიის რელიეფში მკაფიოდ არის გამოხატული მდ. მტკვრის ოთხი ტერასა, ჩართული ორი ტერასის საფეხურით, რომლებიც მტკვრის შენაკადების გავლენით განვითარდა. დაბლობ-აკუმულაციური ზედაპირი ინტენსიურად იკვეთება მდ. მტკვრის მერიდიანულად განლაგებული მარცხენა შენაკადებითა და საირიგაციო სისტემების არხებით. ტერასა დახრილია ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით ფერდობები უძველესი დროიდან დაფარული იყო მდინარისპირა ტყეებით. ამჟერად მხოლოდ მათი შემორჩენილი ნაწილია გვხვდება ხაშურის მახლობლად (ოსიურის ტერიტორიაზე). თრიალეთის ქედის ფერდობებზე მწვანე საფარი შედარებით უკეთაა შემორჩენილი.

1.2. გეომორფოლოგიური პირობები

საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ლ. მარუაშვილი 1971წ) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია შიდა ქართლის ვაკის ფარგლებში. შიდა-ქართლის ვაკის ფარგლებში განთავსებული საკვლევი ტერიტორია მორფოლოგიურად წარმოადგენს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებულ დეპრესიას, განვითარებულს მესამეულისა და მეოთხეულის ნალექების სუბსტრატზე, რომელსაც გასწვრივაც კვეთს მდ. მტკვარი. შიდა ქართლის ვაკის უკიდურეს ჩრდილო-დასავლურ ნაწილი, აგებულია მესამეული ასაკის ნალექებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია ელუვიური (თხემებზე), ალუვიური და ელუვიურ-დელუვიური (ფერდობებზე) კენჭნარით, თიხებით და თიხნარებით. რელიეფი ძირითადად ვაკე და გორაკ-ბორცვიანია (მიმდებარე ტერიტორია).

1.3 გეოლოგიური აგებულება

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ ნალექები მესამეული ასაკით დაწყებული მეოთხეულის (Q) ჩათვლით (იხ. გეოლოგიური რუკა 1).

საკვლევი და მიმდებარე ტერიტორია აგებულია ოლიგოცენი-ქვედა მიოცენი, მაიკოპის წყების (Pg₃+N_{1mk}) ნალექებით, რომელიც წარმოდგენილია თაბაშირიანი და კარბონატული თიხებით იაროზიტის ნაფიფქებით და თიხიანი ქვიშაქვებით.


ასევე ქვედა ოლიგოცენური (ხადუმის ჰორიზონტი Pg_{3ch}) ასაკის ნალექები, რომელიც წარმოდგენილია თიხიანი ქვიშაქვების და კარბონატული თიხების შუაშრეების შემცველი უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვებით და მიკრო კონგლომეტარებით.

ჩოკრაკული (ყარაგანული-კონკური N₁²) - ჩოკრაკული კვარციანი ქვიშაქვები და ქვიშები, უხეშნატეხოვანი ბრექჩიები და კონგლომერატები და ფერადი თიხები.

N₁^{1sp} - ქვედა მიოცენი. ქვიშები და წვრილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშები.

N₁^{1nb} - ქვედა მიოცენი. ნაბახტევის ქვიშაქვები. სქელშრეებრივი კვარციანი და მინდვრისშპატიანი კვარციანი ქვიშაქვები.

P₂³ - ზედა ეოცენი. მერგლოვანი თიხები და თიხოვანი ქვიშაქვები.



გეოლოგიური რუკა N1

1.4. ტექტონიკა

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000წ) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია სამხრეთ კავკასიის მთათაშუა ოლქის ცენტრალური აზეგების ფარგლებში. ტექტონიკური ზონა წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის სუსტად დანაოჭებულ მეგასინკლინორიუმის ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვნადაა გართულებული შიდა ადგილობრივი სტრუქტურებით და წყვეტილ-შეცოცებითი აშლილობებით.

1.5 სეისმურობა

საქართველოს მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებული დასახლებულ პუნქტები მოქცეულია 8 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრის ზონაში. არსებული სტატისტიკური მონაცემებით მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ თანამედროვე საინჟინრო ნაგებობებს და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი როგორც ისტორიულ, ასევე უახლეს წარსულში. აქვე მოგვყავს სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მისმიმდებარედ, არსებული დასახლებული პუნქტებისათვის:

1. ხაშური - 0,23მ/წმ²;
2. ქემფერი - 0.22მ/წმ²;
3. ცოცხნარა - 0.22მ/წმ²;
4. სურამი – 0.23მ/წმ²;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემისმიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობისზონას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. სამშენებლო ნორმების დაწესების - “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ).

1.6 ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით (ი. ბუაჩიძე 1970წ.) საკვლევი ტერიტორია შედის საქართველოს ბელტის ქართლის ფოროვანი, ნაპრალოური და ნაპრალოვან-კარსტული წყლების არტეზიულ აუზში.

1.7. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

თანამედროვე გეოლოგიური პროცესებიდან რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ინფრასტრუქტურული ობიექტის ფუნქციონირებას შიდა ქართლის ვაკის აღნიშნულ ნაწილში, პრაქტიკულად არ ფიქსირდება და ადგილი აქვს მხოლოდ უმნიშვნელო ფართობულ ეროზიას. შესაბამისად სანაყაროს მოსაწყობად წინასწარ შერჩეული ტერიტორია მდგრადია და არც მომავალშია მოსალოდნელი რაიმე სახის გართულებები.

1.8 სანაყაროზე ფუჭი ქანის განთავსება

განსათავსებელი ფუჭი ქანები შედგება კირქვის, მერგელისა და თიხის მინარევებისაგან, ხოლო სანაყარედ გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება წარმოდგენილია თაბაშირიანი და კარბონატული თიხებით იაროზიტის ნაფიფქებით და თიხიანი ქვიშაქვებით.

აღნიშნული ქანების ფიზიკო-მექანიკური თვისებების და დახრილი რელიეფის გათვალისწინებით, სანაყარეზე ფუჭი ქანი განთავსდება რელიეფზე მორგებულად რამოდენიმე იარუსად (საფეხურად). ყრილის ჯამური სიმძლავრე ისე უნდა შეირჩეს, რომ ტერიტორიის ნებისმიერ ადგილას არ აღემატებოდეს 15-16 მ-ს. რელიეფის დახრილ ზედაპირზე ნაყარი მდგრადობის შენარჩუნების მიზნით თითოეული იარუსის სიმაღლე აღებულია 6 მეტრი.

პირველ ეტაპზე ტერიტორიის ფუჭი ქანით შევსება მოხდება დასავლეთი ფრთის ცენტრალური ნაწილის ჩაღრმავებულ ადგილში, რის შემდეგაც თვითმცლელეებით შემოტანილი ფუჭი ქანი დაიყრება მთელ ტერიტორიაზე 6 მეტრიან საფეხურებად, გაიშლება და მოსწორდება ბულდოზერის საშვალეებით. პერიოდულად ყოველ ერთ მეტრზე დაყრის შემდეგ მოხდება მისი დატკეპნა. თითოეული საფეხურის ფერდოს მიეცემა დახრა, რომელიც რელიეფის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს 35-40°-ს. საფეხურებს შორის დატოვებული უნდა იქნას მინიმუმ 5 მეტრი სიგანის ბეგი. ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე, ზოგიერთ საფეხურს შორის ბეგის სიგანე იზრდება და ახწევს 50-60 მეტრს(იხ.სანაყარეზე ფუჭი ქანის საფეხურებად განლაგების გეგმა და გეგმის ჭრილები ნახაზი #3, 4 და 5).

სანაყარეს გაწყლოვანებისგან მაქსიმალურად დასაცავად ზედაპირი მოსწორდება, დაიტკეპნება და მიეცემა მცირე დახრა სამხრეთ და აღმოსავლეთი მიმართულებით. ასევე სანაყარეს დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს გაყვანილი იქნება სანიაღვრე წყალსაწრეტი თხრილი, რომელიც უზრუნველყოფს ატმოსფერული ნალექებისგან წარმოქმნილი წყლის გადინებას სანაყარე მეურნეობის ფარგლებს გარეთ, რათა არ მოხდეს ნაყარი მასის წყალგაჯერება.


პროექტირების პროცესში მოხდა დასაყრელი ფუჭი ქანის სავარაუდო მოცულობის განსაზღვრა, რისთვისაც ტოპოგრაფიულ გეგმაზე აიგო პარალელური ჭრილები (7 გრძივი და 2 განივი იხ. ნახაზი 6 და 7) და გამოითვალა ფუჭი ქანის რაოდენობა რომელიც შესაძლებელია განთავსდეს გამოყოფილ ფართზე(იხ.დანართი ცხრილი #1).

ცრილი #1

სანაყარეზე შემოსაზიდი ფუჭი ქანის მოცულობის გამოთვლის ცხრილი


რიგითი N	ქრილი N	ფართობი ქრილზე მ ²	ქრილებს შორის მანძილი	გამოყენებული ფორმულა	მოცულობა V-მ ³
1	2	3	4	5	6
1.	<u>I-I'</u>	<u>2007</u>	18	$V = \frac{S \times l}{3} \quad V = \frac{2007 \times 18}{3}$	12042
2.	<u>I-I'</u> <u>II-II'</u>	<u>2007</u> <u>3032</u>	30	$V = \frac{S_1 + S_2 + \sqrt{S_1 \times S_2}}{3} \times l$ $V = \frac{2007 + 3032 + \sqrt{2007 \times 3032}}{3} \times 30$	75060
3.	<u>II-II'</u> <u>III-III'</u>	<u>3032</u> <u>2888</u>	30	$V = \frac{S_1 + S_2}{2} \times l \quad V = \frac{3032 + 2888}{2} \times 30$	88800
4.	<u>III-III'</u> <u>IV-IV'</u>	<u>2888</u> <u>2766</u>	30	$V = \frac{S_1 + S_2}{2} \times l \quad V = \frac{2888 + 2766}{2} \times 30$	84810
5.	<u>IV-IV'</u> <u>V-V'</u>	<u>2766</u> <u>1780</u>	32	$V = \frac{S_1 + S_2 + \sqrt{S_1 \times S_2}}{3} \times l$ $V = \frac{2766 + 1780 + \sqrt{2766 \times 1780}}{3} \times 32$	72160
6.	<u>V-V'</u> <u>VI-VI'</u>	<u>1780</u> <u>1110</u>	50	$V = \frac{S_1 + S_2 + \sqrt{S_1 \times S_2}}{3} \times l$ $V = \frac{1780 + 1110 + \sqrt{1780 \times 1110}}{3} \times 50$	72033
7.	<u>VI-VI'</u> <u>VII-VII'</u>	<u>1110</u> <u>1386</u>	50	$V = \frac{S_1 + S_2}{2} \times l \quad V = \frac{1110 + 1386}{2} \times 50$	62400
8.	<u>VII-VII'</u>	<u>1386</u>	50	$V = \frac{S_1}{2} \times l \quad V = \frac{1386}{2} \times 50$	34650
	-	-		სულ	501955

ნახაზი #1




ნახაზი 2

ნარჩენი გრუნტის განთავსების ადგილი










ნახაზი #3




ნახაზი #4

სანაყარედ გამყოფი ტერიტორიის
ლითოლოგიური ჭრილები
მასშტაბი 1:2000







-  - სანაყარედ შერჩეული ტერიტორიის კონტური
-  - ნიადაგის ნაყოფიერი ფენი
-  - თიხიანი ქვიშაქვები, კარბონატული თიხები




ნახაზი #5



ნახაზი #6

სანაყარეზე ფუჭი ქანის განთავსების გეგმის ტრილები
 მასშტაბი 1:2000



-  - ნიადაგის ნაყოფიერი ფენი
-  - თიხიანი ქვიშაქვები, კარბონატული თიხები
-  - ფუჭი ქანი კირქვა, მერგელი, თიხა

